საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№37 (6263) სამშაბათი 1990 წელი 27 მარტი. ფასი 3 კაპ.

წლის მოსავალს—მგზკიცე საფუძველი!

სწლავენ ვაზს

საგაზაფხულო სამუშაოები ორგანიზებულად დაიწყეს ტვიშის კოლმეურნეობის მშრომელებმა. აქ ყველამ იცის თავისი საქმე და კოლმეურნეობის დაშლა-გაუქმებისათვის ლოდინი ხელს არ უშლის მუშა კაცს მიხედოს ვაზს, თუ სამარცვლე მინდორს, გასასხლავი გასხლას და დასახნავიც დროულად დახნას.

დადგა მარტის მეორენახევარი და ამინდებს გაუმჯობესება დაეტყო. ზვრებს მიაშურეს და ვაზის სხვლას პირველები №3 ბრიგადის (ხელმძღვანელი ... შა გაბიძაშვილი) ... ელები შეუდგნენ და ბუნებრივია, ამ საქმეს ყველაზე ადრე მორჩნენ კიდეც. ვაზის სხვლა წარმატებით მიმდინარეობს №1 ბრიგადაში (ხელმძღვანელი დათო სვანიძე).

მოწინავე მევენახეებს— მექი ქვარიანს, ვალოდია, ზურაბ ახვლედიანებს, გიგა გაბიძაშვილს გასხლული აქვთ იჯარით აღებული ვენახის ნაკვეთები და ახლა ვაზს საყრდენ მასალას უდგამენ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

22 მარტს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მთელი რიგი პარტიული კომიტეტების მდივნები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მოწვევის ვადების, წინასაყრილობო კამპანიის მოწყობის, წარმომადგენლობის ნორმებისა და დელეგატთა არჩევის წესის საკითხი.

ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება. გადაწყვეტილია საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა მოიწვიონ 1990 წლის 15 მაისს ქალაქ თბილისში.

პლენუმმა შექმნა საქართველოს კომპარტიის სტატუსის, პარტიის პროგრამის თეზისებისა და წესდების პროექტის შემუშავების შესახებ წინადადებათა მოსამზადებელი კომისია, დაამტკიცა ამ კომისიის შემადგენლობა.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გ. გ. გუმბარიძემ.

(საქინფორმი).

როგორია ჩაბარებული პირუტყვის წონა?

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკასა და რაიონში შექმნილმა მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა, ბუნებრივია, არსებითად გაადიდა მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ კიდევ დიდია პრობლემები სასურსათო პროგრამის განხორციელების ამ მნიშვნელოვან უბანზე. ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, მაღალია წარმოებული საკვების თვითღირებულება, დიდია ბერწიანობის პროცენტი. მეცხოველეობის პროდუქტების ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაა, რადგან კარგი, სრულფასოვანი კვების პირობებშიც კი ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი ორჯერ ნაკლებ პროდუქციას იძლევა ჯიშიანთან შედარებით. ამიტომ რაიონის რელიეფურ-კლიმატური პირობების შესაბამისად უნდა მოხდეს დარაიონება რენტაბელური ჯიშისა, რომელიც ადვილად შეეგუება როგორც რაიონის ალპურ-საზაფხულო საძოვრებს, ასევე ბარში საზამთრო ბაგურ პირობებს.

ჩვენთან, რაიონის პირობებში ინტენსიურ სუქებაზე დაყენებულ უნდა იქნას იმ რაოდენობის პირუტყვი, რაც საჭიროა ამა თუ იმ ცალკეული მეურნეობიდან სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი და მეორე კვარტალის გეგმის შესასრულებლად. მომდევნო კვარტლებში ჩაბარებული პირუტყვის სუქება უნდა მოხდეს საიალაღო, ალპური საძოვრის ხარჯზე, რაც ჩვენს პირობებში უფრო რენტაბელური და ეფექტიანია, რადგან ამის პრაქტიკულად განხორციელება ვან უბანზე. ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, მაღალია წარმოებული საკვების თვითღირებულება, დიდია ბერწიანობის პროცენტი. მეცხოველეობის პროდუქტების ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაა, რადგან კარგი, სრულფასოვანი კვების პირობებშიც კი ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი ორჯერ ნაკლებ პროდუქციას იძლევა ჯიშიანთან შედარებით. ამიტომ რაიონის რელიეფურ-კლიმატური პირობების შესაბამისად უნდა მოხდეს დარაიონება რენტაბელური ჯიშისა, რომელიც ადვილად შეეგუება როგორც რაიონის ალპურ-საზაფხულო საძოვრებს, ასევე ბარში საზამთრო ბაგურ პირობებს.

ჩვენთან, რაიონის პირობებში ინტენსიურ სუქებაზე დაყენებულ უნდა იქნას იმ რაოდენობის პირუტყვი, რაც საჭიროა ამა თუ იმ ცალკეული მეურნეობიდან სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი და მეორე კვარტალის გეგმის შესასრულებლად. მომდევნო კვარტლებში ჩაბარებული პირუტყვის სუქება უნდა მოხდეს საიალაღო, ალპური საძოვრის ხარჯზე, რაც ჩვენს პირობებში უფრო რენტაბელური და ეფექტიანია, რადგან ამის პრაქტიკულად განხორციელება

დიდ დანახარჯებთან არაა დაკავშირებული და დადგენილია, რომ ბუნებრივ საძოვრულ პირობებში პირუტყვის გამოზრდა 2,5-ჯერ, 3-ჯერ იაფ ხორცს იძლევა, ვიდრე ბაგურ პირობებში.

იმის გამო, რომ რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან საკუთარი წარმოების კომბინირებული საკვებით და მოთხოვნილებისამებრ სახელმწიფოდანაც ვერ იღებენ საჭირო რაოდენობის კომბინირებულ საკვებს, პირუტყვის სუქება არაორგანიზებულად მიმდინარეობს.

თუმცა, 1989 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სახელმწიფოსათვის მიყიდული ხორცის ხარისხობრივი მდგომარეობა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ რომ პირველ-მეორე კვარტალში სახელმწიფოს სუქებაზე დაყენებული პირუტყვის ხორცის 30 პროცენტი მიეყიდა, დანარჩენი კი მიყიდული იქნა მესამე-მეოთხე კვარტალში, რაც მოხდა საიალაღო საძოვრების ხარჯზე. ჩაბარებული პირუტყვის ხორცის მაღალკონდიციურობას, ხარისხობრივ გაუმჯობესებას ხელი შეუწყო მეურნეობათა უმრავლესობის იჯარულ ფორმაზე გადასვლამ, თუმცა 1988 წელს სახელმწიფოს 1191 ცენტნერი საშუალოზე დაბალი შეხორცების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცი მიეყიდა, 1989 წელს კი ეს ციფრი 466 ცენტნერამდე შემცირდა. შესაბამისად ამისა დაბალი ხარისხის პროდუქტიულობით მიყენებული ზარალი 58.568 მანეთიდან 21 ათას მანეთამდე შემცირდა, ხოლო ერთი სული პირუტყვის საშუალო წონა 228 კილოგრამამდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ მაღალია დაბალი ხარისხის პროდუქციის სახელმწიფოზე მიყიდვის პროცენტული რაოდენობა, რისთვისაც აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება სათიბ-საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების მიზნით. სათიბ-საძოვრები უნდა გაიწმინდოს ქვა-ღორღისაგან, ტყებუჩქნარისაგან და მოსავლის გადიდების მიზნით გატარდეს სხვადასხვა სახის აგროღონისძიებანი, რათა მწვანე მასა თუ თივის წარმოება გაიზარდოს ინტენსიური გზით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი სათიბების და მრავალწლიანი ბალახების მოვლა-დაცვის საქმეს, მაქსიმალური შესაძლებლობები უნდა იქნას გამოყენებული, რათა მაის-ივნისში არ მოხდეს სათიბების პირუტყვისაგან გაძოვება, რადგან ეს პერიოდი ბალახის ზრდა-განვითარების ყველაზე უკეთესი პერიოდია.

გარდა ამისა სათიბ-საძოვრებში მინერალური სასუქების გამოყენება თივის წარმოებას 2-2,5-ჯერ მაინც ზრდის.

იმის გამო, რომ ჩვენთან სათანადო ყურადღება არ ექცევა დამზადებული საკვების ხარისხს, მის დაცვა-შენახვას და კვებისწინა შემზადებას, დიდია საკვების დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე, ხოლო პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია.

ყველა ეს ნაკლოვანება გათვალისწინებულ უნდა იქნას მიმდინარე სამეურნეო წელს და იჯარული ფორმების განმტკიცება-გაფართოებამ თუ გლეხური მეურნეობის დანერგვამ ხელი უნდა შეუწყოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და ჩაბარებული პირუტყვის წონის გაზრდას.

მ. თვარაძე,
აგროსამრეწველო გაერთიანების დამზადების და ხარისხის ინსპექტორი.

ხელი მივყოთ მეფუტკრეობას

სამოცდაათ წელს მიღწეული კაცი ვარ, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ჩემი ცხოვრება შრომაში გამიტარებია და ჩვენი ერის წარსულიდანაც ბევრის მომსწრე ვარ და მნახველი, მაგრამ საქართველო დღეს რომაა, ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჯერ არ მინახავს. ჩვენს ერს უჭირს ეკონომიურად, სოციალურად, პოლიტიკურად თუ დემოგრაფიულად. პირველ რიგში ეკონომიური კრიზისიდან თავის დაღწევისათვის ბრძოლა გვმართებს ყველას ერსაც და ბერსაც, დიდსაც და პატარასაც, მოხუცსაც და ახალგაზრდასაც, თუ გვინდა რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნოდეს, დავეხმაროთ სამშობლოს კრიზისიდან თავის დაღწევაში.

ჩემი აზრით დუმილის დრო აღარაა, ყველამ ხელი უნდა გამოვიღოთ, საქმით გამოვიჩინოთ თავი, ის, რაც ქართულია და ჩვენებურია, აღვადგინოთ, გამოვიყენოთ.

კერძოდ, რისი თქმა მინდა, ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან ვეწევი მეფუტკრეობას, ვეცნობი რა სათანადო ლიტერატურას, ამ მხრივ საკმაო გამოცდილება დამიგროვდა, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. უკვე 50-მდე ფუტკრის ოჯახს ვუვლი საკარმიდამო მეურნეობაში. გარდა იმისა, რომ ჩემს შვილებსა თუ ახლობლებს ვაწვდი ამ ძვირფას საკვებ პროდუქტს, წელიწადში არანაკლები 6 ათასი მანეთის შემოსავალი მაინც რჩება ჩემს ოჯახს. ეს მაშინ, როცა მეფუტკრეობის განვითარების პირობები რაიონის სხვა სოფლებში უფროა, ვიდრე ჩვენთან, სოფელ მახურაში. არავინ იფიქროს, რომ მიწას მოწყვეტილი კაცი ვიყო და მხოლოდ მეფუტკრეობის განვითარებაზე ვიმაღლებდეს ხმას, არა, ჩემი ოჯახის ძირითადი შემოსავალი მიწათმოქმედებაა, მაქვს ბაღიც, ვენახიც, სასიმინდე ყანაც. მეფუტკრეობა ჩემი ოჯახის დამხმარე შემოსავალია და იგი სრულიადაც არ მიშლის ხელს სასიმინდე ყანის თუ ბაღ-ვენახის მიხედვაში.

თითოეულ ოჯახს შეუძლია ხელი მოკიდოს ამ საქმეს. გავაძლიეროთ ოჯახური შემოსავალი და თუკი ოჯახები ძლიერი იქნება, რესპუბლიკაც ფეხზე წამოდგება. რისთვისაც მოვითხოვ, რაიონულ ცენტრში შეიქმნას სპეციალიზებული მაღაზია, სადაც გაიყიდება მეფუტკრისათვის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობა, ურიგო არც ის იქნება, თუ შეიქმნება სპეციალური კოოპერატივები, სადაც გაიყიდება ფუტკარი და მსურველს შესაძლებლობა ექნება არა მამასისხლად, არამედ ხელმისაწვდომ ფასებში შეისყიდოს იგი.

ვიქტიურეთ, გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები, ხელი მივყოთ ამ მნიშვნელოვანი დარგის მართლა განვითარებას.

ვლასი კუხალაშვილი.
დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სოფ. მახურა.

სახალხო კონტროლი ჭოქმეულებს

გვერდი №1 (51)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნებიდან, წინადადებებიდან—რეალურ საქმეამდე

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი სახალხო კონტროლის ჯგუფებში ანგარიშგება-არჩევნების დროს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის საქმეში სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში

სხდომაზე აღინიშნა, რომ დღეს, საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში, ადამიანები უფრო პრინციპულად აყენებენ საკითხებს, რომლებიც ეხება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა მომწიფებული საკითხების გადაწყვეტას. ამიტომ სახალხო კონტროლიორთა საანგარიშო—საარჩევნო კრებებზე გამოითქვა წინადადებანი რაიონში მიმდინარე სოციალურ - ეკონომიკურ პროცესებზე, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაზე, კონტროლის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის, ამ საქმეში ფორმალიზმის აღმოფხვრის თაობაზე და ა. შ.

ცაგერის სასურსათო კომბინატის შრომითმა კოლექტივმა გააკრიტიკა ცეკავშირის გამგეობა კომბინატის რეკონსტრუქცია-მშენებლობის დაკონსერვების საქმეში გამოჩენილი გულგრილობის გამო და მოითხოვა ამ საქმეში დახმარება.

რაისაავადმყოფოში სახალხო კონტროლიორებმა პრინციპულად მოითხოვეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსაგან დააჩქაროს საავადმყოფოს ახალი კორპუსის მშენებლობა.

დიდი ხანია ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის მშრომელები მოითხოვენ გამოყოფას ქუთაისის ადგილმრეწველობის გაერთიანებისაგან და სრულ დამოუკიდებლობას.

ზემოთაღნიშნული და სხვა კონკრეტული წინადადებანი აყვანილ იქნა კონტროლზე. ბევრი მათგანი გადაწყდა კიდეც. ასე, მაგალითად, თითქმის ყველგან დაისვა საკითხი კონტროლის ორგანოებში აუცილებელი სტრუქტურული ცვლილებების შესახებ, კონტროლიორთა თვისობრივ ზრდაზე. საზოგადოებრივი აზრის შესწავლით რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოებში მოხდა ძირეული ცვლილებები, გაუქმდა მეძავალი ჯგუფები და საგუშაგოები, სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფების რაოდენობა 77-დან 45-მდე შემცირდა. უმეტეს სასოფლო საბჭოებთან შეიქმნა ერთიანი საკოორდინაციო სახალხო კონტროლის ჯგუფი. კონტროლიორთა რაოდენობა შემცირდა 1200 კაცამდე.

გამოთქმული შენიშვნებიდან გადაწყვეტილია 48, მაგრამ ბევრი ჯერჯერობით რეაგირების გარეშეა. სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მოსაგვარებელ პრობლემებზე შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან დასვა საკითხები, რაზედაც დაწესებულია კონტროლი.

რაში დაიხარჯა ათასები?

*** შეიძინეს მანქანა-დანადგარები, მოწყობილობანი, რომლებიც ზიანდება, ნადგურდება**

დღეს ანგარიშიან, უნარიან მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული თითოეული საწარმოს, კოლექტივის წინსვლა, შემდეგ რეგიონისა და მთელი რესპუბლიკის ეკონომიკური აღმავლობა. ჩვენ თუ კარგად არ გავიცნობიერეთ დღევანდელობა, ჩვენი შესაძლებლობა და ხვალის პერსპექტივა, ყოველდღე არ ვიფიქრეთ, რომ საქართველოში გაშლილი ეროვნული მოძრაობის მიზანი აუცილებლად მოითხოვს ეკონომიკური პოტენციალის უსწრაფესად ამოქმედებას, ერის სამსახურში ჩაყენებას, ჩამორჩენიდან თავს ვერ დავაღწევთ.

რაიონის საწარმო-ორგანიზაციებში უკანასკნელ წლებში ახალი დანადგარ-მოწყობილობა იქნა შემოტანილ-დამონტაჟებული, რომელთა ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობაზე ზედმეტად მიგვაჩნია ლაპარაკი. მაგრამ არის ორგანიზაციები, რომლებიც დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენენ ამ საქმეში, დაუფიქრებლად, უმიზნოდ, ზოგჯერ „ზემოდან" კარნახით შეიძენენ ინვენტარ-დანადგარებს, დიდძალ თანხას გადაიხდიან, მაგრამ მის ამოქმედება-გამოყენებაზე არ ფიქრობენ.

ცაგერის სასურსათო კომბინატში არის დაუდგმელი მოწყობილობანი სულ 80. 981 მანეთის. თუმცა აქ ამ კოლექტივის ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობას ვერ დავაბრალებთ ყველაფერს, ცენტრალიზებული წესით, ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე, ეს დანადგარები გამოგზავნილ იქნა, მაგრამ დამონტაჟება შეუძლებელია კომბინატის მშენებლობის ერთი რიგის დაკონსერვების გამო. ასეა. „ზემოდან" მართვამ და ორგანიზაციათა აზრის და მოთხოვნის იგნორირირებამ ზარალის მეტი რა მოგვიტანა, მაგრამ სასურსათო კომბინატის ხელმძღვანელობას რა გული უძლებს, რომ ღია ცის ქვეშ ყრია ეს ძვირადღირებული მოწყობილობა და იუანგება? მისი გადახურვა მაინც, დავიჯეროთ, ასეთ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული?

რაისაავადმყოფოში ირიცხება დაუდგმელი და გამოუყენებელი დანადგარებისა და სამედიცინო აპარატურის ნაშთი 31.496 მანეთის საერთო საბალანსო ღირებულების. მათ შორის იმპორტული წარმოების დანადგარი „კიუეზი" 2223 მანეთის საბალანსო ღირებულების.

რაიონის სახალხო განათლების სისტემაში გამოუყენებელი ნაშთი 59675 მანეთის საბალანსო ღირებულებისაა, აქედან ცაგერის საშუალო სკოლაში გამომთვლელი კაბინეტი „კოსვეტი"-1 ცალი 32.675 მანეთად ღირებული და ლაჯანის სკოლა-ინტერნატში გამომთვლელი კომპლექსური „ელექტრიკა" 27,9 ათას მანეთად ღირებული.

საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოში აღმოჩნდა 6284 მანეთის დაუდგმელი მოწყობილობა, მათ შორის რძის საწველი აგრეგატი და წყლის ჩამომსხმელი ავტომატი.

ცაგერის ღვინის ქარხანაში 1989 წელს მიიღეს ყურძნის გადამამუშავებელი ტუმბო, 3 ცალი 3800 მანეთის ღირებულების, რომელიც შემოწმების დღისათვის დაუდგმელი იყო.

სამეურნეობათშორისო საკვებმოპოვების საწარმოში 1980 წელს მიღებულია ბალახის საფქვავი წისქვილი 28 ათასი მანეთის ღირებულების. 1987-1988 წლებში გაყიდულია მისი ნაწილები, რომლისგანაც წარმოებამ მიიღო 8 ათასი მანეთი, დანარჩენი 20 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილებისაგან კი განკომპლექტებულია.

ორბელის კოლმეურნეობაში ირიცხება დაუდგმელი მოწყობილობანი 8 ათასი მანეთის, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში—9,8 ათას მანეთად ღირებული საწველი აგრეგატი.

სულ რაიონის წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში დაუდგმელ და გამოუყენებელ მოწყობილობათა და დანადგარების ნაშთი შეადგენს 213836 მანეთს.

ასეთმა უმიზნო მუშაობამ, წყალში გადაყრილმა ათასებმა მიგვიყვანა კატასტროფამდე. დროა უარი ვთქვათ დანაშაულებრივ დარდიმანდობასა და ხელგაშლილობაზე. თითოეულმა ორგანიზაციამ თვითონვე უნდა მართოს თავისი ფინანსები და ეკონომიკა. თავისუფლება და ეკონომიკური დამოუკიდებლობა არასდროს არავისათვის უბოძებიათ. მას დიდი ჭკუითა და რუდუნებით, შრომით და საქმიანადმი სიყვარულით თუ მოვიპოვებთ.

მ. სილაგაძე.

დისციპლინა დეფიციტი

საკასო-საფინანსო დისციპლინის მოწესრიგებაზე ბევრადაა დამოკიდებული ხვალინდელი ჩვენი შრომისა და ცხოვრების ორიენტირის, ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრა. ამას არ ფიქრობენ რაიონის საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და უხეში დარღვევები საკასო-საფინანსო საქმიანობაში კვლავ გრძელდება. ადგილი აქვს ადგილობრივი შემოსავლების ბანკის გვერდის ავლით ხარჯვის, ბანკიდან მიღებული თანხების არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევებს.

ტვიშის კოლმეურნეობაში გამოვლინდა სალაროს ყოველდღიური ნაშთის გადალიმიტება 38 მანეთიდან 2000 მანეთამდე. ადგილობრივი შემოსავალი, 500 მანეთი. აქ გახარჯეს ბანკის გვერდის ავლით.

ლასურიაშის კოლმეურნეობაში დაუშვეს ბანკიდან მიღებული თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. მარშან იანვარში ხელფასისათვის მიღებული 155 მანეთი გაცემულია ანგარიშქვეშ, თებერვალში ამავე მიზნით გამოტანილი 496 მანეთიც გაცემულია ანგარიშქვეშ და სამეურნეო ხარჯებში.

ცაგერის კოლმეურნეობაში გასული წლის პირველ კვარტალსა და აპრილში ბანკის გვერდის ავლით დახარჯულია 7196 მანეთი, ორბელის კოლმეურნეობაში სხვადასხვა დროს—3157 მანეთი, ლაჯანის კოლმეურნეობაში—1458 მანეთი ადგილობრივი შემოსავალი.

მსგავსი ხასიათის დარღვევები გამოვლინდა ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციებში, კერძოდ, საზკვებაში, ალპანის დარგობრივ სავაჭრო გაერთიანებაში.

ცაგერის სასურსათო კომბინატში ადგილი ჰქონდა თანხების არამიზნობრივ ხარჯვას. გასული წლის აპრილში ხელფასები გაიცა ბანკიდან მიღებულზე 280 მანეთით ნაკლები, იგი გაიცა სამეურნეო ხარჯებში, პენსია ბიულეტენის თანხიდან—533 მანეთი. დაშვებული ჰქონდა ყოველდღიური სალაროს ნაშთის გადალიმიტება რამდენიმე შემთხვევაში 4 მანეთიდან 239 მანეთამდე.

მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციაში.

საკასო-საფინანსო მუშაობა დისციპლინას მოითხოვს.

შარშანდელი შეცდომები მწარე გაკვეთილი უნდა იყოს თითოეული საწარმოსა და მეურნეობისათვის.

გ. ჭაგუკიანი.

ჯარი: არ არის მეორეხარისხოვანი საფიქრალი

ჩვენ, რესპუბლიკაში ახლა იმ ეტაპზე ვართ, რომ ჩვენი ეკონომიკური თუ სამრეწველო პოტენციალი ჯერჯერობით არც ვიცით და ახლა მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართებით. ქართული ეროვნული მძიმე მრეწველობის განვითარებას, ერის მატერიალურ აღორძინებას კი დღეს ჩვენი ერთობლივი საღი აზრი, სწორი დამოკიდებულება და დღედაღამ შრომა სჭირდება.

ეს შესავალი იმისათვის დაგვჭირდა, რომ დღეს ჩვენ ჯერჯერობით იმასაც ვერ ვაკეთებთ, რისი შესაძლებლობაც გვაქვს, სათანადო ბაზაც. ყველაფერი, მაგრამ...

შავი და ფერადი ლითონის ჯართის მნიშვნელობაზე ლაპარაკი მოგვბეზრდა კიდეც. მაგრამ საქმე მაინც არ იძვრის ადგილიდან. ამ სახელმწიფოებრივ საქმეში თითო-ოროლა ორგანიზაცია თუ გამოირჩევა პასუხისმგებლობით. ასეთებია რაიკოოპერატივი, სახელმწიფო სატყეო მეურნეობა, საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, რომლებიც ასრულებენ შავი ლითონის დამზადების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმებს, მაგრამ ამ დროს, როცა კვარტალი უკვე მთავრდება, კულტურის განყოფილებას, №91 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, ტვიშის, ალპანის, ღვირიშის, ლაილაშის კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობას არცერთი გრამი ჯართი არ აქვთ დამზადებული. ამიტომაა, რომ რაიონში დაგეგმილი 119 ტონიდან 22 მარტისათვის დამზადებულია 70 ტონა.

უარესი მდგომარეობაა ფერადი ლითონის დამზადების საქმეში. პირდაპირ გული გეტკინება, რომ თითქმის აღარავის აღარ მიაჩნია გეგმა გეგმად და მისი შესრულება კანონად. თითქმის არც ერთ ორგანიზაციას, საწარმოს ამისათვის ჯერ არ მოუცლია, გეგმით კი გათვალისწინებულია 1600 კილოგრამის დამზადება.

უნდა როგორმე მოვიშოროთ ძვალსა და რბილში გამჯდარი უპასუხისმგებლობა, ინერციით მუშაობის მავნე სენი, დღეს როცა ყველას პატრიოტებად მოგვაქვს თავი, სირცხვილიცაა იმაზე ლაპარაკი, რომ ხელის განძრევა არავის გვინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

მოძრაობის წესებს ყველა უნდა ვიცავდეთ

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და მისი შედეგები, განსაკუთრებით კი მძიმე, თითოეული მოქალაქის, მშრომელთა გულისწყრომასა და შეშფოთებას იწვევს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოების წევრთა გარკვეული ნაწილისათვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემები ვერ გახდა მნიშვნელოვანი საკითხი.

გასაკვირია ზოგიერთი პროფესიონალი მძღოლისა თუ მოყვარულის მსჯელობა, თითქმის უმრავლესობას ნორმალურად მიაჩნია გადაჭარბებული სიჩქარით ავტომანქანის მართვა, გზაჯვარედინების არასწორი გავლა, ღერძულა ხაზების გადაკვეთა და სავალი ნაწილის საპირისპირო მხარეზე გადასვლა. ზოგიერთი მძღოლი, რადგან მის მიერ მოძრაობის წესის დარღვევას ცუდი შედეგი არ მოჰყოლია, როცა მივუთითებთ ამ წესების დაცვაზე, გვეკამათება, თავს იმართლებს და არ ითვალისწინებს იმას, თუ რა მოჰყვება მოძრაობის წესების დარღვევას.

საავტომობილო ტრანსპორტისა და მოძრაობის სწრაფი ტემპით ზრდამ დღის წესრიგში დააყენა—მტკიცედ იქნას დაცული მოძრაობის უსაფრთხოების წესები. როგორც საზოგადოებრივი, ასევე პირადი სარგებლობის ავტომანქანები გარაჟებიდან გამოვიყვანოთ მხოლოდ ტექნიკურად გამართული, მძღოლი, პროფესიონალი იქნება თუ მოყვარული, საჭეს ნასვამ მდგომარეობაში არ უნდა მიუჯდეს, არ გადააჭარბოს სიჩქარეს და სხვა, რაც ელემენტარული საკითხია და მისი დაცვა სრულ გარანტიას იძლევა თავიდან ავიცილოთ საგზაო შემთხვევები.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ავტოინსპექციის მუშაკები ყველა ღონეს ვხმარობთ, მძღოლებმა მტკიცედ დაიცვან მოძრაობის წესები, მაგრამ ზოგჯერ მდგომარეობას ართულებს და უსაფრთხო მოძრაობის საშიშროებას ქმნის ქვეითად მოსიარულე მოქალაქეთა მიერ ქუჩებში, ავტომოსაცდელებთან მოძრაობის წესების დაუცველობა.

ქვეითად მოსიარულეთა მიერ მოძრაობის წესები ირღვევა ქალაქის ცენტრის ქუჩებში, ქვედა ცაგერის, ჭალისთავის, ოყურეშის, ორბელის, ალპანის, ტვიშის გზაჯვარედინებზე მდებარე ავტომოსაცდელებთან, რაც ქმნის ავტოსაგზაო შემთხვევების საშიშროებას. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ამ მხრივ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა არ წარმოებს ადგილებზე, წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და სკოლებში. ფორმალურად გვყავს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები. სკოლებში არ ფუნქციონირებს ნორჩ ავტოინსპექტორთა რაზმები ან სექციები.

გასულ, 1989 წელს რაიონში ჩვენი მუშაკების მიერ გამოვლინდა მოძრაობის წესების დამრღვევი 684 მძღოლი, აქედან 27—სიმთვრალისათვის, გადაჭარბებული სიჩქარით ავტომანქანის მართვისათვის -119, ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანის მართვისათვის-136 მძღოლი და სხვა. სხვადასხვა ვადით აეკრძალა ავტოტრანსპორტის მართვა 38 მძღოლს, დაჯარიმდა 342 მძღოლი და გაფრთხილდა მართვის მოწმობის ტალონზე აღნიშვნით 47 მძღოლი. ხაზზე ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის გაშვებისათვის დაჯარიმდა წარმოება-დაწესებულებათა 19 პასუხისმგებელი მუშაკი.

მიუხედავად ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, ზოგიერთმა მძღოლმა მაინც არ ისწავლა ჭკუა და კვლავ ეტანება ბახუსს, რაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის საფუძველია.

მიმდინარე წლის ორთვე ნახევარში მოძრაობის წესების დარღვევების ანალიზი დამაფიქრებელია. 27 იანვარს ლასურიაშის კოლმეურნეობის კუთვნილი ავტომანქანის მძღოლი ავთანდილ გიგას ძე ცხვედიანი წყალტუბო-ცაგერის მიმართულებით ავტომანქანას მოძრაობის წესების უხეში დარღვევით მართავდა, ვერ უზრუნველყო ავტომანქანის მართვის სწორი ორიენტაცია, გადავიდა სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს და გადავარდა მდინარე ცხენისწყლის ხეობაში. შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ავტომანქანაში მყოფი დ. ფოჩხიძე.

12 თებერვალს ზურაბ ნოდარის ძე ხეცურიანი ამხანაგის მსუბუქ ავტომანქანას მთვრალი მართავდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. ვალერი შალვას ძე სვანიძე საკუთარ მსუბუქ ავტომანქანას 25 თებერვალს ნასვამ მდგომარეობაში დააჯირითებდა ცაგერის ტერიტორიაზე, ასევე კუკური თედორეს ძე მდივანი საკუთარ ავტომანქანას ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მართავდა.

იანვარ-თებერვალში ჩვენს მიერ გამოვლინებული იქნა 65 მძღოლი, რომლებიც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდნენ. მათ შორის დავასახელებ რამდენიმეს, 9 თებერვალს ავტოსატრანსპორტო საწარმოს თვითმცლელი მანქანის მძღოლი თამაზ გრიგოლის ძე სვანიძე, 12 თებერვალს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სატვირთო ავტომანქანის მძღოლი როსტომ სერგოს ძე გასვიანი, 5 მარტს ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს სატვირთო ავტომანქანის მძღოლი გია გელას ძე ხეცურიანი გადაჭარბებული სიჩქარით მართავდნენ ავტომანქანებს.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ერთ-ერთი მიზეზია ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანის გარაჟიდან გაშვება. ასეთი შემთხვევები ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა 27 თებერვალს: ტრისტან ვასილის ძე ცინარიძე (ცაგერის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაცია), ამირან შალვას ძე ნემსწვერიძე (კოოპერატივი „ბარდნალა"), შუქური გივის ძე ცხვედიანი (აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმო).

7 მარტს ჩვენს მიერ მოწყობილი რეიდის შედეგად ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტაქსების მძღოლებს: გიგა იასონის ძე ბურჯალიანს, გრიგოლ გედეონის ძე სილაგაძეს, დავით ალექსანდრეს ძე ბურჯალიანს, სატვირთო ავტომობილების მძღოლებს: მურმან ოთარის ძე გვიშიანს, ოლეგ შაქროს ძე დავითულიანს ავტომანქანები ღამით დაყენებული ყავდათ საკუთარ ბინებზე, რასაც შეიძლება მოყვეს არასასიამოვნო შედეგები.

ვისაც სურვილი აქვს მუშაობდეს ავტომანქანის მძღოლად, მართავდეს საკუთარ ავტომანქანას, ვალდებულია განუხრელად და მტკიცედ დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები.

რ. სალინაძე,

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი სახელმწიფო ავტოინსპექტორი.

თანაგრძნობის მზეობა

ექსკურსიაზე

ცაგერის საშუალო სკოლის XI-ა კლასის მოსწავლეებს სურვილი გაგვიჩნდა მოგვეწყო ექსკურსია რაიონს გარეთ ჩვენი გულისნადები გავანდეთ სკოლის ხელმძღვანელობას. კმაყოფილების გრძნობით ვამბობთ, რომ მივიღეთ თანადგომა და მარშრუტიც შეგვირჩია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორმა დავით ცვარიანმა: ცაგერი-გორი-მცხეთა-საგურამო - თბილისი -ცაგერი. მივმართეთ წყალტუბოს საექსკურსიო ბიუროს (ხელმძღვანელი თემურ ქობულაძე). მათდამი მადლობის მეტი არაფერი გვაქვს სათქმელი, შეგვირჩიეს გამოცდილი და კულტურული მძღოლი, რომელიც კარგად მოგვემსახურა. ექსკურსიამძღოლმა გოგი მუშკუდიანმა გზადაგზა საინტერესო ისტორიული ფაქტების გაცნობით დაკმაყოფილა ჩვენი ცნობიერება.

გული სიხარულით ატოკდა, როცა სამოგზაუროდ გამზადებულებს წყალტუბოს საექსკურსიო ბიუროდან ავტობუსი გვეწვია. ალბათ, ბევრ თქვენგანს გამოუცდია ამ სიხარულის, ენით გამოუთქმელი აღტაცების შეგრძნება. ბევრჯერ ვუოფილვართ ექსკურსიაზე კახეთში, იმერეთში, გურიაში, მაგრამ ახე მგონია, ეს მაინც სულ სხვანაირი იყო, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ XI კლასელები ვართ. ერთ ბუდეში დაფრთიანებულებს სულ მალე ცხოვრების გზაგასაყარი გველოდება. სამი თვეც აღარ დარჩა და ერთმანეთს დავცილდებით, გავალთ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე. თუ ყველაფერს უფროსების სასიამოვნოდ არ ვასრულებთ, ან ვერ ვასრულებთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ბავშვები გვქვია.

მასწავლებლები რომ ჩვენი უფროსი, კეთილი მეგობრები არიან, ეს კარგად ვიგრძენით მე და ჩემმა თანაკლასელებმა ამ მოგზაურობის დროს, რომელიც მოვაწყვეთ 17 მარტს მარშრუტით: ცაგერი - მცხეთა - საგურამო -თბილისი. ჩვენთან ერთად იყვნენ კლასის ხელმძღვანელი დოდო ნემსწვერიძე, სასწავლო ნაწილის გამგე ნუნუ ჩაკვეტაძე, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორი დავით ცვარიანი და მასწავლებლები ციცო ურთმელიძე, გრიშა ჩიქოვანი, გია ლობჟანიძე.

ეს იყო ურთიერთდახმარების, ურთიერთპატივისცემისა და თანაგრძნობის მზეობა.

ნუ გაგეცინებათ და ჩვენც მოგვწყინდა მზრდელისაგან ერთიდაიგივე შეგონებანი:

მოსწავლე ხარ და გეკალება...
მოსწავლე ხარ და გმართებს...
... იყო ლექსი... იყო სიმღერა, მოგონებები, აზრთა ურთიერთგაზიარება.

საგურამოს ხილვისას თითქოს გაიხსნა გულის ჭრილობა... თვალწინ გაიელვეს ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის აჩრდილებმა. მცხეთის შემოგარენის ხილვამ, ჩემდა უნებურად, შოთა ნიშნიანიძის ლექსი მომაგონა:

„მცხეთის ქალაქს მირონი
დუღს,
მზის და ვაზის მირონი,
ბებერ ქვებში ღაღადებენ
საქმენი საგმირონი
იღაღადეთ, ფუძის ქვანო,
ქვანო გუმბათისანო,
მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით,
კონსტანტინე ბატონო!"

საღამოს თბილისში ვიყავით.

მეორე დღეს ვეწვიეთ ქალაქის ისტორიულ ღირსშესანიშნავ ადგილებს. თვალცრემლიანი მეჩვენა ჩვენი დედაქალაქი, მინდოდა ყველაფერს მოვლაციცებოდი და კოცნით ამომეშრო მის თვალებში ჩაყინული ცრემლები. სევდა დაჰკრავდა ძველ თბილისს, რომელსაც ამაყად გადმოყურებს ქართველის დედა და დარაჯობს ვახტანგ გორგასალი, ხოლო ღამეს უთევს ციხე მეტეხისა. ლოცვა-კურთხევით შეგვეგება ეკლესია სიონისა, საღამანაც გეზი მთაწმინდისაკენ ავიღეთ. მივედით მერაბ კოსტავას საფლავზე და პატივი მივაგეთ მის ხსოვნას, შემდეგ გულდამძიმებულნი ხელოვნების მუზეუმისაკენ დავეშვით. ხელოვნების მუზეუმის ხილვამ სიცოცხლის ნიშანწყალი დამიბრუნა. გულდასმით დავათვალიერე ყოველივე.

რა უსუსური ვიყავი იმ წუთში, არ შემეძლო ჩამეფიქრა ის, რაც ჩემს ძალას აღემატებოდა...

დიდხანს გაგვყვება ექსკურსიის მონაწილეებს იქ მიღებული სასიამოვნო შთაბეჭდილება.

ნ. ყვირილიანი,

ცაგერის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

ძეგლი — საერთო საზრუნავი

პირველი ქართველი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, ენერგია მოახმარა ქართულ სიძველეთა შეგროვებას, შესწავლას და მათი დაცვის ეროვნულ საქმეს, იყო გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი. მან 80 წლის წინ პირველად ჩამოაყალიბა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ძირითადი დებულებანი. „...ჩვენი ტურფა პატარა საქართველო წარსულში ბრწყინავდა თავისი მამაცობა-ვაჟკაცობით, სწავლა—განათლებით, სამშობლოს სიყვარულით და მრავალი სხვა სახალხო ღირსება—ქველობით. ეს იყო მიზეზი, რომ ამ პატარა ქვეყანამ შემოინახა თავისი სახელი და ეროვნება. მრავლისაგან მრავალმა მტერმა ვერ დაიკლო რა, ვერ გატეხა და ძირს ვერ დასცა...

ყველა, დიდი და პატარა, მოვალე ვართ ვიცოდეთ, თუ როგორი იყო ძველად საქართველო, რას ფიქრობდნენ, რას აკეთებდნენ მისი საუკეთესო შვილნი, ვინ შესწირა სამშობლოს სიკეთეს თავისი პირადი კეთილდღეობა, ქონება და თვით სიცოცხლეც. ვინ განადიდა საქართველოს სახელი შინ თუ გარეთ, ვინ ააგო ის მშვენიერი ეკლესია-მონასტრები და ციხე-დარბაზები, რომელთა ხილვით სწავლული ევროპელები გაოცებულნი რჩებიან".

თვით ექვთიმემ დიდი გულმოდგინებით შეისწავლა 1910 წელს ლეჩხუმის კულტურის ძეგლები და მოახდინა მათი ფოტოგრაფირება და საფრანგეთში ემიგრაციის მძიმე პირობებში, 1937 წელს პარიზში გამოსცა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში". ასევე ჩვენი მხარის სიძველეთა შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ მხატვარს დავით კაკაბაძეს, პროფესორ მიხეილ ჩიქოვანს, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს და თანამედროვე ბევრ ახალგაზრდა მკვლევარს.

გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიის ვითარებაში კიდევ უფრო გაფართოვდა ეს მუშაობა და ხალხის ინტერესი ძეგლების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის საქმისადმი. საქართველოში შექმნილია სპეციალური სამმართველო, რომელიც გრანდიოზულ მუშაობას აწარმოებს. მათ რესტავრაცია გაუკეთეს ჩვენს რაიონში ცხეთის გუმბათოვან და ნაკურალეშის ფერადფრესკოვან ეკლესიებს. შედგენილია რესტავრაციის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები გვესოს, ორბელის, მურის ციხეების, გონის ეკლესიის აღდგენისათვის.

მაგრამ დღემდე გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის. ჩვენი რაიონის მშრომელები მოითხოვენ ბევრი ძეგლის აღდგენას და მათი ხალხის სამსახურში ჩაყენებას, მაგალითად, მურის, მახაშის, თაბორის, ხვამლის ეკლესიების რესტავრაციას საკუთარი საშუალებებით. მაგრამ ძეგლის თვითნებურად აღდგენა კანონით აკრძალულია. სარესტავრაციო გეგმა-ნახაზი უნდა შეადგინონ მთავარი სამმართველოს სპეციალისტებმა. ამ საქმის ზედამხედველობისათვის შექმნილია რესპუბლიკური საპროკურატორო განყოფილება, ეს იმიტომ გახდა საჭირო, რომ

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ძეგლი—საერთო საზრუნავი

(დასასრული).

როგორც ცნობილია, „კულტურის ძეგლი ერის პასპორტია, ძეგლი ადასტურებს ერის ვინაობას, წარმომავლობას, სადაურობას, ასაკს, სულიერ მიდრეკილებებს, გონებრივ ავლადიდებას, გემოვნებას, ინტელექტური განვითარების დონეს და მრავალ სხვას, რითაც ერი ერად იწოდება“. (რ. ჯაფარიძე. ლიტ. საქართველო. 10 ოქტომბერი, 1975).

სწორედ ეს ნიშან-თვისებები რომ არ დაიკარგოს აღდგენილ ძეგლში, ამიტომაა აუცილებელი სარესტავრაციო გეგმა და აღდგენის ზედამხედველობა მთავარი სამმართველოსა, ხოლო რესტავრაცია უნდა ჩაატაროს მისმა ზონალურმა სახელოსნოებმა.

გარდა კულტურის ძეგლებისა, ჩვენი მხარე მდიდარია ბუნებრივი ძეგლებითაც. მაგალითად, ბუნების საოცრებაა საირმის სვეტები, ხვამლის „ვერძისთავას“ წყლის მოძრაობა, გუდულაშის ურთხმელის კორომი და სხვა, რომლებსაც სახელმწიფო იცავს.

ამ საქმეში, წინა წლებში, კარგი ინიციატივა გამოიჩინა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ. მან საკუთარი სახსრებით მავთულბადით შემორაგვა გუდულაშის ტერიტორია.

10 წელზე მეტია დღის წესრიგში დგას ხვამლის მთაზე ალპინისტური და ტურისტული ბაზების მოწყობის საკითხი, რის შესახებაც დაიწერა გაზეთებში „ქუთაისში“, „კომუნისტში“. ამ საქმის ერთობლივ მოგვარებას ზემდგომი ორგანოები ავალებდნენ პარტიის ქუთაისის და წყალტუბოს საქალაქო კომიტეტებს, ცაგერის რაიკომს. საქმისადმი მართლაც რომ ბიუროკრატიულმა მიდგომამ ჩაშალა ამ საშვილიშვილო საქმის კეთება.

მთავარი იყო საბაგირო და საავტომობილო გზის გაყვანა. საბაგირო გზის პროექტი უფასოდ შეადგინა ამ საქმის ცნობილმა სპეციალისტმა ფოფხაძემ, მაგრამ მის განხორციელებაზე არავის უფიქრია.

ახლა ჩვენს რაიონში უკვე გამოჩნდა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თავისი საშუალებებით ცდილობს საავტომობილო გზის გაყვანას ხვამლის მთაზე, ამ ულამაზეს ადგილზე, საიდანაც მთელი დასავლეთ საქართველო და კავკასიის უმაღლესი მწვერვალები მუდმივ თეთრ ნაბადში გახვეული ჩანან.

გზა საფუძველი გახდება აქტურისტული და ალპინისტური ბაზების შექმნისა.

ყოველ ასეთ წამოწყებას ყველამ ხელი უნდა შეუწყოს.

ჯ. საღინაძე,
ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი, ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე სამეცნიერო-კვლევით დარგში.

სპორტი

ქალთა 29-ე სპარტაკიადა

ჩატარდა ქალთა რაიონული სპარტაკიადა სპორტის 5 სახეში. რიგით ეს 29-ე სპარტაკიადა იყო. შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ რაიონის წარმოება-დაწესებულებებს და საშუალო სკოლებს.

პირველად ასპარეზობა გაიმართა მაგიდის ჩოგბურთსა და შაშში. მონაწილეობა მიიღო 5-მა ფიზკულტურულმა კოლექტივმა. ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

შაშში პირველი ადგილი დაიკავა ოყურეშის საშუალო სკოლამ, მე-2, მე-3 ადგილები გაიყვეს ლასურიაშის და ბარდნალის საშუალო სკოლებმა.

მაგიდის ჩოგბურთში პირველობა არავის დაუთმო ბარდნალის საშუალო სკოლამ, მეორე—ოყურეშის, მესამე—ლასურიაშის საშუალო სკოლებმა.

10 მარტს გაიმართა შეჯიბრება ფრენბურთში, სადაც პირველი ადგილი აიღო ოყურეშის საშუალო სკოლამ, მეორე—ლასურიაშის, მესამე—ბარდნალის საშუალო სკოლებმა.

საინტერესო გამოდგა ასპარეზობა ჭადრაკსა და პნევმატური თოფის სროლაში. ჭადრაკში პირველობა მოიპოვეს ბარდნალელმა მოჭადრაკეებმა, მეორე-მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ლასურიაშის და ოყურეშის საშუალო სკოლები. სროლაში პირველობა არავის დაუთმო ლასურიაშის საშუალო სკოლამ, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს ჩხუტელისა და ოყურეშის საშუალო სკოლებმა.

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა:

პირველი ადგილი 9,5 საჯარიმო ქულით წილად ხვდა ოყურეშის საშუალო სკოლას, ბარდნალი მოიპოვა გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი.

მეორე ადგილზე 10,5 ქულით გამოვიდა ლასურიაშის საშუალო სკოლა, მესამეზე 11,5 ქულით—ბარდნალის საშუალო სკოლა.

ქალთა სპარტაკიადა მიზნად ისახავდა ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას, უკეთესი სპორტსმენების გამოვლინებას, თანრიგოსანთა მომზადებას.

სპარტაკიადაში მონაწილეობა არ მიიღო რაიონის არცერთმა წარმოება-დაწესებულებამ, მაშინ, როცა ქალთა გუნდების გამოყვანა შეეძლოთ რაისაავადმყოფოს, ადგილმრეწველობის კომბინატს, რაიკოოპერატივს, ალპანის სამკერვალო ფაბრიკას, კულტურის განყოფილებას და სხვებს.

საქმეს ისიც სწევს უკან, რომ ორგანიზაციებში არ არის მეთოდისტები და დაბალია ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობა. საჭიროა შესაბამისმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას.

დ. მუუკუდიანი,
სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

უკრაინის მწერალთა კავშირმა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა **ფეოდოს კირილეს ძე როგოვი** (სურათზე). მწერალი ცხოვრობს სოფელ უსტინოვსკაში მათ შორის, ვისზედაც წერს თავის რომანებსა და წიგნებს. იგი დიდხანს მუშაობდა სოფლის სკოლაში მასწავლებლად.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ჭილოცავთ

მზეჭალა, გრიგოლ ყუბუსიძეების ოჯახს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერისა და ქვეყნის სასახელო ვაჟკაცი.

ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი.

გიუდი გათლომეს ასულ ხეცურიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარით მრავალს, გისურვებთ ჯანმრთელობას თქვენი შვილებით, დაე ასეთი ლამაზი და ლაღი შეხვედროდეთ თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს.

ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მკერავების I კურსის მოსწავლეები.

ღოღა, ამირან ჩახულიანებს

გილოცავთ ვაჟიშვილის ბედნიერებას. კიდევ მრავალი სიხარული შემატებოდეს თქვენს ოჯახს.

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები

ჭილოცავთ

იზმარ დავითის ასულ გოგოხიძეს
მამუკა დადაშის ძე ახვლედიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ნუ მოგკლებოდეთ სიყვარულის ნიჭი, გემრავლებინოთ შვილები მამულისა და ერის სამსახურისათვის.

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები.

მზია მურმანის ასულ ნემსწვერიძეს
დავით ამირანის ძე ჩახულიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს. გაგეზარდოთ ჯანსაღი თაობა.

ნეოლინე საღინაძე, ზინა ყურაშვილი, მედიკო გურული, ნატაშა კოპალიანი, ვლადიმერ, მარო ბერიძეები, პინა გოლეთიანი, გია ჩიქოვანი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ცაგერის რაიონულ სტამბას ესაჭიროება მბეჭდავი-მემანქანე. ხელფასი 130 მანეთია. მთხოვნელი უნდა იყოს ვაჟი, საშუალო განათლებით.

მსურველებს დამატებითი ცნობების მიღება შეუძლიათ რაიონულ სტამბაში ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა.

ცაგერის რაიონული სტამბის დირექცია.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ იური ლარცულიანს დედის

თინა გიორგის ასული ჩარკვიანი-ლარცულიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ პაატა კვირკაშვილს დეიდის

ნუცა ხვადაგიანის

გარდაცვალების გამო.

შოთა გასვიანი, ბუჭუ შკუბულიანი, აკაკი ნემსაძე, დანიელ ყურაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ დავით ლარცულიანს მეუღლის

თინა ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მურთაზ ლარცულიანს დედის

თინა გიორგის ასული ჩარკვიანი-ლარცულიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.